



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016წ. - ოქმი #14 (დანართი #7)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია  
წაკითხული და მიღებულია

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მომზადა: სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა \_\_\_\_\_

შეამოწმა: ხარისხის მართვის კომისია \_\_\_\_\_

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო \_\_\_\_\_

დოკუმენტის No: IBSU.R05G

ვერსია: 5.00

განახლების თარიღი:

19/09/2022

დამტკიცების თარიღი:

23/08/2016

შეუმოწმებელი ვერსია \*      შემოწმებული ვერსია □

იბსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს  
საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მთლიანი მართვის საბჭოს წარუდგინეთ  
დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

---

**შინაარსი**

შეტანილი ცვლილებები	4
ცვლილებების ნუსხა	5
მუხლი 1.	8
მუხლი 2.	8
მუხლი 3.	10
მუხლი 4.	10
მუხლი 5.	11
მუხლი 6.	11
მუხლი 7.	11
მუხლი 8.	14
მუხლი 9.	15
მუხლი 10.	15
მუხლი 11.	16
მუხლი 12.	19
მუხლი 13.	20
მუხლი 14.	21
მუხლი 15.	23
მუხლი 16.	25
მუხლი 17.	28
მუხლი 18.	30
მუხლი 19.	31
მუხლი 20.	32
მუხლი 21.	33
მუხლი 22.	35
მუხლი 23.	38
მუხლი 24.	39



---

მუხლი 25.	40
მუხლი 26.	40
მუხლი 27.	40

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის No.	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	9	22.08.2017
2.	აკადემიური საბჭო	8	11.06.2019
3.	აკადემიური საბჭო	16	16.09.2019
4.	აკადემიური საბჭო	21	15.11.2019
5.	აკადემიური საბჭო	23	23.12.2019
6.	აკადემიური საბჭო	4	24.02.2020
7.	აკადემიური საბჭო	17	29.09.2020
8.	აკადემიური საბჭო	2	10.02.2021
9.	აკადემიური საბჭო	18	24.09.2021
10.	მმართველი საბჭო <sup>1</sup>	1	01.11.2021
11.	მმართველი საბჭო	15	04.04.2022
12.	მმართველი საბჭო	30	19.09.2022

თავდაპირველი რედაქცია: 23.08.2016

<sup>1</sup> უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 2021 წლის 01 ნოემბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნები
1	22.08.2017	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
2	22.08.2017	8	უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან გათავისუფლება
3	22.08.2017	10	კომპონენტის შეფასება
4	22.08.2017	11	საკვლევი თემის დამტკიცება
5	22.08.2017	12	დოქტორანტის თანახელმძღვანელი
6	22.08.2017	16	დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა
7	22.08.2017	27	გარდამავალი დებულებები
8	11.06.2019	3	სადოქტორო პროგრამის შემუშავება, განხორციელება, განვითარება
9	11.06.2019	5	პროგრამის სწავლების ენა
10	11.06.2019	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
11	11.06.2019	8	უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან გათავისუფლება
12	16.09.2019	2	ტერმინთა განმარტებები
13	16.09.2019	3	სადოქტორო პროგრამის შემუშავება, განხორციელება, განვითარება
14	16.09.2019	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
15	16.09.2019	9	კომპონენტებზე რეგისტრაცია
16	16.09.2019	11	კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები
17	16.09.2019	13	პროგრამის ხელმძღვანელი
18	16.09.2019	14	სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო
19	16.09.2019	16	დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა
20	16.09.2019	27	გარდამავალი და დასკვნითი დებულებები
21	15.11.2019	11	კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები
22	15.11.2019	12	დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
23	15.11.2019	13	პროგრამის ხელმძღვანელი

24	15.11.2019	15	სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები
25	15.11.2019	16	დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა
26	15.11.2019	17	სადისერტაციო საბჭოს მდივანი
27	15.11.2019	24	აკადემიური ხარისხის მინიჭება
28	23.12.2019	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
29	23.12.2019	8	უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძვლები
30	23.12.2019	16	ავტორეფერატის ენა
31	24.02.2020	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
32	29.09.2020	4	სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა
33	29.09.2020	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
34	29.09.2020	16	დისერტაციის დაცვისთვის წარდგენა
35	29.09.2020	27	გარდამავალი და დასკვნითი დებულებები
36	10.02.2021	12	დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
37	10.02.2021	14	სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო
38	10.02.2021	15	სადისერტაციო საბჭოს უფლებები და მოვალეობები
39	10.02.2021	17	დისერტაციის ექსპერტები
40	24.09.2021	7	სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა
41	01.11.2021	14	სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო
42	01.11.2021	15	სადისერტაციო საბჭოს უფლებები და მოვალეობები
43	04.04.2022	16	დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა
44	19.09.2022	4	სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა
45	19.09.2022	6	სწავლების ხანგძლივობა
46	19.09.2022	10	კომპონენტის შეფასება
47	19.09.2022	11	კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები
48	19.09.2022	12	დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
49	19.09.2022	16	დისერტაციის დაცვისთვის წარდგენა

50	19.09.2022	17	დისერტაციის ექსპერტები
51	19.09.2022	18	დისერტაციის წინარე დაცვა
52	19.09.2022	19	დისერტაციის ოპონენტები
53	19.09.2022	21	დაცვის კომისია
54	19.09.2022	22	დაცვისათვის მომზადება და დისერტაციის წარდგენა
55	19.09.2022	23	დისერტაციის შეფასება
56	19.09.2022	25	ცნობა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

**მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო**

- 1.1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სადოქტორო სწავლებასა და სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის დებულებების თანახმად.
- 1.2. დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, რომელიც წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობას, მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

- 2.1. **სკოლა** - სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა;  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*
- 2.2. **უსდ** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.3. **ცენტრი** - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- 2.4. **სადისერტაციო საბჭო** - ფაკულტეტზე არსებული სადისერტაციო საბჭო, რომელიც იქმნება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით;
- 2.5. **დარგობრივი სადისერტაციო საბჭო** - საბჭო, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით;
- 2.6. **უცხო ენა** - ენა, რომელიც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად;
- 2.7. **სამდივნო** - სადისერტაციო საბჭოს სამეცნიერო სამდივნო;
- 2.8. **უნივერსიტეტი** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ავტორიზებულია საქართველოს კანონმდებლობის



---

საფუძველზე ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დასესებულება,  
რომელიც აღიარებულია ამავე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

2.9. **შსსუ** - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

### მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება

3.1. სადოქტორო პროგრამას შეიმუშავებს ინიციატორი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი და რომელიც პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, ხდება ამავე პროგრამის ხელმძღვანელი.

3.2. სადოქტორო პროგრამის გახსნისათვის საჭიროა სულ მცირე 4 (ოთხი) სტუდენტის არსებობა. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სადოქტორო პროგრამა შესაძლებელია გაიხსნას ნაკლები რაოდენობის სტუდენტებისთვისაც.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

3.3. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით“ (R3I2).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით - ოქმი #8*

### მუხლი 4. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

4.1. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს სასწავლო კომპონენტს (პროფესორის ასისტირება, კვლევითი უნარები, სემინარი და ა.შ.) და არანაკლებ 2 წლის მანძილზე განხორციელებულ კვლევით კომპონენტს ( დისერტაციის მომზადება და მისი დაცვა და ა.შ.) ამასთან, სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შესაძლებელია მოდიფიცირდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიურობის, კომპეტენციების, რომლის გამომუშავებასაც მიზნად ისახავს კომპონენტი, ოდენობისა და იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მისი ჯამური ოდენობა არ აღემატება 60 კრედიტს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #17*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

## **მუხლი 5. სწავლების ენა**

- 5.1. სადოქტორო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული ან ინგლისური სადოქტორო პროგრამიდან გამომდინარე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით - ოქმი #8*

## **მუხლი 6. სწავლების ხანგრძლივობა**

- 6.1. სადოქტორო პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, შეადგენს 6 (ექვსი) სემესტრს.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 6.2. სტუდენტი, რომელმაც ვერ დაამთავრა სადოქტორო პროგრამა 6 (ექვსი) სემესტრის განმავლობაში, უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს თვითდაფინანსების გზით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (R3) და „სწავლის საფასურის გადახდის წესის“ (R9) მოთხოვნების შესაბამისად.

## **მუხლი 7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა**

- 7.1. შპსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ირიცხება პირი, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს (უცხო ენის ცოდნა/ გასაუბრების წარმატებით გავლა/ საკვლევის თემის პროექტის დადებითად შეფასება და ა.შ.).

- 7.2. განმცხადებელთან, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღებისათვის დადგენილ წინაპირობებს, ფორმდება ხელშეკრულება და გამოიცემა ჩარიცხვის თაობაზე რექტორის აქტი.

- 7.3. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი (არანაკლებ ხუთი გვერდი) მისი სამომავლო კვლევის სფეროში, რომელსაც აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია. მიმღები კომისია შედგება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრისა (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით) და შესაბამისი დარგის არანაკლებ 2 (ორი) წარმომადგენლისაგან.
- 7.4. საკვლევი თემის პროექტის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მიმღები კომისია აფასებს საკვლევი თემის პროექტს, ხოლო მეორე ეტაპზე იმართება ინტერვიუ, რომლის შედეგები ფორმდება ოქმის სახით და ხელს აწერს მიმღები კომისიის ყველა დამსწრე წევრი.
- 7.5. საკვლევი თემის პროექტი და ინტერვიუ ფასდება რუბრიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი სადოქტორო პროგრამით. ამავე ეტაპზე, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებითა და სტუდენტთან შეთანხმებით ინიშნება თემის სავარაუდო ხელმძღვანელი სასწავლო კომპონენტის შემდგომ განსახორციელებელი კვლევითი კომპონენტის მიზნებისათვის. ამასთან, თემის სავარაუდო ხელმძღვანელი ვალდებულია, სასწავლო კომპონენტის ათვისებისათვის, კვლევითი კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტს მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

- 7.5<sup>1</sup> პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს სკოლა.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით - ოქმი #8*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

- 7.6. სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას აქვეყნებს სკოლა. სარეგისტრაციოდ წარდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ინფორმაცია განმცხადებლის განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესახებ (CV);

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი წერილის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან ცნობა სამაგისტრო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე (დიპლომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში);

ბ<sup>1</sup>) განმცხადებლის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერიოდში არანაკლებ ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დიპლომის შესაბამის საფეხურთან გათანაბრება.

*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #4*

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხოური პასპორტის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

დ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, რომლის დონე განსაზღვრულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით და/ან ბოლო სამი წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე აკადემიური ხარისხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთი არსებობის შემთხვევაში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23*

7.7. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხები წესრიგდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (R3), წინამდებარე დებულებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

7.8. მობილობის წესით სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, სტუდენტს ენიშნება პოტენციური ხელმძღვანელი, წინამდებარე დებულებით

დადგენილი წესით. სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული ასათვისებელი და აღიარებული სასწავლო/კვლევითი კომპონეტ(ებ)ი განისაზღვრება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, ასევე მხედველობაში მიიღება პოტენციური ხელმძღვანელის პოზიციაც.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #17*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18*

## **მუხლი 8. უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძველები**

8.1. განმცხადებელი, რომელიც ფლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული შესაბამისი უცხო ენის დონის საერთაშორისო სერთიფიკატს, თავისუფლდება უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისგან. პროგრამის ენის დონის დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდის დონე განისაზღვრება R03L5-ით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით - ოქმი #8*

8.2. განმცხადებელი, რომელსაც სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე დასრულებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამა ბოლო სამი წლის განმავლობაში და მისი ნიშნების საშუალო (GPA) შეადგენს არანაკლებ 75 (სამოცდათხუთმეტი) ქულას 100 (ასი) ქულიდან, ან 3 (სამი) ქულას 4 (ოთხი) ქულიდან, თავისუფლდება უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისგან.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23*

8.3. თუ განმცხადებელი იმ ქვეყნის მოქალაქეა, სადაც სადოქტორო პროგრამის სწავლების ენა წარმოადგენს სახელმწიფო ენას, თავისუფლდება უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისგან.

## მუხლი 9. კომპონენტებზე რეგისტრაცია

9.1. დოქტორანტურის პროგრამის კომპონენტებზე რეგისტრაციის პროცესი განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (R3) თანახმად, წინამდებარე დებულებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

9.2. ამ დებულების მიზნებისათვის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (R3) გათვალისწინებული საპატიო მიზეზის დასადგენად დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში, საჭიროა სკოლის საბჭოს თანხმობა.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

9.3. ამ დებულების მიზნებისათვის, არჩევითი სასწავლო კურსის გახნისათვის საჭიროა სულ მცირე 3 (სამი) სტუდენტის განაცხადი. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

## მუხლი 10. კომპონენტის შეფასება

10.1. შეფასება ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში მიღებული შედეგების საფუძველზე. თუმცა, შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის.

10.2. შეფასების მეთოდი განისაზღვრება სილაბუსის ავტორის მიერ, რომელიც ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისში.

10.3. კომპონენტის შეფასება ხორციელდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: სასწავლო კომპონენტისათვის აღნიშნული ფორმებია შუალედური და დასკვითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას,

ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინა დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 10.4. სასწავლო კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (R3) თანახმად.
- 10.5. სადოქტორო პროგრამის სტუდენტის გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ (R3) და „გამოცდების ჩატარების წესის“ (R3I1) თანახმად.
- 10.6. კვლევით კომპონენტზე გადასვლისას, სტუდენტი ვალდებულია, გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრეზენტაცია დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე სემესტრის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული სამუშაოს შესახებ. სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციები მხედველობაში მიიღება წინარე დაცვის დროს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9  
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

## **მუხლი 11. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები**

11.1. საკვლევი თემის დამტკიცებისათვის:

- ა) დოქტორანტი ირჩევს დისერტაციის სათაურს და ამზადებს ინდივიდუალური კვლევის გეგმას მისი თემის სავარაუდო



ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ინდივიდუალური კვლევის გეგმა უნდა ასახავდეს კვლევის მიზნებს, სტრუქტურასა და კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკს;

ბ) სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, დოქტორანტი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგენს სავარაუდო სათაურსა და ინდივიდუალური კვლევის გეგმას;

გ) თემის სათაურსა და კვლევის გეგმას განიხილავს და ამტკიცებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭო. სტუდენტი წარადგენს მოკლე პრეზენტაციას საბჭოს წინაშე. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი შესაძლებელია დაესწროს პრეზენტაციას. თუკი თემის სათაური ან/და ინდივიდუალური კვლევის გეგმა არ დამტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა შეცვალოს თემის სათაური/ინდივიდუალური კვლევის გეგმა;

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

დ) სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, საკვლევი თემა რეგისტრირდება სკოლის მიერ და ფორმდება ხელშეკრულება დისერტაციის ხელმძღვანელს, სტუდენტსა და შუსუ-ს შორის.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

**11.2.** სადისერტაციო თემის სათაურისა და კვლევის გეგმის დამტკიცებასთან წინამდებარე მუხლის 11.1 პუნქტით განსაზღვრული ყველა პროცედურა უნდა დასრულდეს შესაბამისი სემესტრის დასაწყისიდან 5 (ხუთი) კვირის განმავლობაში. ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრულ პროცედურასთან დაკავშირებული ოქმები ინახება სკოლაში სტუდენტის მიერ თემის დაცვამდე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

- 11.3. კვლევითი კომპონენტის დაწყების შემდგომ, ყოველი სემესტრის დასასრულს სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ სკოლის საბჭოს უნდა წარედგინოს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის ფორმები (R5F12, R5F10).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

- 11.4 თუკი დოქტორანტი დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს მიმართავს განცხადებით სადისერტაციო თემის სათაურის შეცვლის შესახებ, ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემდეგ, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო, ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვრავს დამატებით ვადას. საბჭოს მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადის მინიმალური ზღვრებია:

- ა) ტექნიკური ხასიათის ცვლილების შემთხვევაში - მინიმუმ 2 კვირა;
- ბ) კონცეპტუალური ხასიათის ცვლილების შემთხვევაში - მინიმუმ 1

სემესტრი.

ამ პუნქტში აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრთა 2/3 -ის მიერ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #30*

- 11.5. თუ დოქტორანტს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს ორზე მეტი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის შემდგომ, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო იმსჯელებს თემის სათაურისა და კვლევის გეგმის შესახებ და უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მათი უცვლელად დატოვების ან ხელახლა დამტკიცების შესახებ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

**მუხლი 12. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი**

12.1. თემის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შხსუ-ს ან სხვა უსდ-ის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი. პროგრამის მე-5/მე-6 სემესტრში ხელმძღვანელის მიერ შხსუ-ში/სხვა უსდ-ში აკადემიური თანამდებობის დატოვებისა და არც ერთ უსდ-ში აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში, იგი დარჩება თემის ხელმძღვანელად და მოწვეულ იქნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრად.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21  
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

12.2. სტუდენტის ან დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნით, შესაძლებელია დისერტაციის თანახელმძღვანელად დაინიშნოს პირი, რომელსაც შესაბამის დარგში მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. თანახელმძღვანელი უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტი, რომელიც ასევე ჩართულია დარგობრივ სამეცნიერო საქმიანობაში. თანახელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დაინიშნოს არაუგვიანეს კვლევითი კომპონენტის ბოლო სემესტრის დასაწყისისა.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

12.3. სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ, სავარაუდო ხელმძღვანელი მტკიცდება ხელმძღვანელად, თუ მას „აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების გაანგარიშების წესის“ (R16) მიხედვით დადგენილი ლიმიტების გათვალისწინებით აქვს შესაბამისი დატვირთვის აღების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და სტუდენტის თანხმობის საფუძველზე დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ხელმძღვანელად ამტკიცებს სხვა პირს, რომელიც აკმაყოფილებს 12.1 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

12.4. თუკი დოქტორანტი მიმართავს სკოლას ხელმძღვანელის შეცვლის მოთხოვნით ან ხელმძღვანელი აცხადებს უარს საკუთარ პოზიციაზე, აღნიშნული საკითხი განსახილველად წარედგინება დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს. კვლევითი კომპონენტის ბოლო სემესტრში ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში, ახალ ხელმძღვანელს ეძლევა 1 თვე ნაშრომის შესასწავლად. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ახალი ხელმძღვანელის მოსაზრებებზე დაყრდნობით, სტუდენტს განესაზღვრება ვადა წინა დაცვაზე დისერტაციის წარდგენისთვის. ამასთან, თუ ხელმძღვანელის შეცვლამ განაპირობა სტუდენტის მიერ თემის შეცვლა, დისერტაციის დაცვა განხორციელდება წინამდებარე დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

12.5. დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელისათვის თემისა და ავტორეფერატის საბოლოო ვარიანტის ჩაბარების შემდეგ, ხელმძღვანელი წერს დასკვნას არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, რომლითაც, დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს წინაშე თემის წარდგენის მიზნით, ადასტურებს:

ა) პუბლიკაციების შესაბამისობას დისერტაციასთან;

ბ) ავტორეფერატის შესაბამისობას დისერტაციასთან;

გ) სტუდენტის მიერ დისერტაციაზე მუშაობის დასრულების ფაქტს (რაც გულისხმობს, რომ ნამუშევარს ახასიათებს სიახლე, სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვასა და კვლევით ნაწილს, შეესაბამება შხსუ-ს დისერტაციის ფორმატს და შესრულებულია სტილისტურად გამართული ენით).

### მუხლი 13. პროგრამის ხელმძღვანელი

13.1. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი.

- 13.2. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებაზე. იგი ვალდებულია ითანამშრომლოს სკოლასთან საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასა და ამ პროცესში წინამდებარე და შხსუ-ს სხვა დებულებებით განსაზღვრული, შესაბამისი დოკუმენტების წარმოებასთან დაკავშირებით. ასევე ხდენს დოქტორანტის ინფორმირებას სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული ინდექსირებული ჟურნალების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

#### **მუხლი 14. სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო**

- 14.1. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან, რომელიც მტკიცდება მმართველი საბჭოს მიერ. სადისერტაციო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სხვა უსდ-ს ასოცირებული პროფესორები და/ან პროფესორები. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სხვა უსდ-ში მათი აკადემიური პოზიციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და პუბლიკაციების სია.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1*

14.2. სადისერტაციო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ამტკიცებს შესაბამის დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს, ამ დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესა და მოადგილეს თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის ცალ-ცალკე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში წევრის სტატუსით მოიწვიოს შესაბამის დარგის სპეციალიტი, რომელსაც აქვს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი, პუბლიკაციები და სულ მცირე ერთწლიანი პრაქტიკული გამოცდილება დარგში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

14.3. დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის არანაკლებ 5 (ხუთი) წარმომადგენელი. შუსუ-ს აკადემიური პერსონალი უნდა შეადგენდეს წევრთა ნახევარზე მეტს. პროფესორი/ასოცირებული პროფესორი შესაძლებელია ერთდროულად იყოს ორი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი (მიუხედავად იმისა, ისინი ერთ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თუ არა).

14.3<sup>1</sup>. ექსპერტების განსაზღვრისა და თემის დაცვის/წინადაცვის თარიღის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან იქმნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობა, რომელშიც შედიან დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და საბჭოს მდივანი.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

14.4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა საბჭოს წევრების მიერ, ხმათა უბრალო უმრავლესობით. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ავტომატურად არის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ფაკულტეტის სადისერტაციო/დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი წარმოადგენს ადმინისტრაციულ პოზიციას და ინიშნება რექტორის

მეორე. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი შესაძლებელია იმავდროულად იყოს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1*

14.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო/დარგობრივი სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა. გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობის ხმა, გარდა წინამდებარე დებულის მე-11 მუხლის 11.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

14.6. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და ყველა დამსწრე წევრი.

14.7. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. საბჭოს სხდომა შესაძლებელია ასევე მოწვეულ იქნეს წევრთა უბრალო უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე. ამ შემთხვევაში თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს სხდომა.

14.8. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

#### მუხლი 15. სადისერტაციო საბჭოს უფლებები და მოვალეობები

15.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

15.2. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო, ხოლო მის არარსებობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო:

ა) დოქტორანტის პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ქმნის მიმღებ კომისიას, განიხილავს წარდგენილი სადისერტაციო თემის მნიშვნელობას,

მონაწილეობს დისერტაციის სათაურის ჩამოყალიბებაში, ამტკიცებს დისერტაციის სათაურს;

ბ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს ხელმძღვანელის კანდიდატურას, აგრეთვე წყვეტს ხელმძღვანელობის შეწყვეტის საკითხს;

გ) განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმას;

დ) ამტკიცებს ოპონენტებს;

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

ე) ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის წევრებს;

ვ) (ამოღებულია)

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

ზ) მმართველი საბჭოს წინაშე აყენებს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების გადახედვის საკითხს.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1*

15.2<sup>1</sup>. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობა:

ა) ამტკიცებს ექსპერტებს;

ბ) განსაზღვრავს თემის წინადაცვის/დაცვის თარიღს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

15.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავჯდომარის მოადგილე;



- ა) უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის წარმართვას წინამდებარე დებულების შესაბამისად;
- ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;
- გ) უძღვება თემის დაცვის პროცედურას.

15.4. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

- ა) ინახავს სადისერტაციო საბჭოს ოქმებს;
- ბ) იღებს და აარქივებს თემის დაცვისათვის საჭირო დოკუმენტებს წინამდებარე დებულების შესაბამისად. თუკი დოკუმენტები არასრულყოფილია, მდივანს უფლება აქვს უარი თქვას მათ მიღებაზე;
- გ) უწევს კონსულტაციას დოქტორანტს წარსადგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, როგორც დისერტაციის დაცვამდე, ისე დაცვის შემდეგ;
- დ) გადასცემს დისერტაციის, ავტორეფერატისა და პუბლიკაციის ასლებს ექსპერტებსა და ოპონენტებს (ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით, მათი მოთხოვნის საფუძველზე);
- ე) წინასწარ აწვდის ინფორმაციას დოქტორანტებს შეფასების კრიტერიუმების შესახებ და უწევს რეკომენდაციებს დისერტაციის ტექნიკურ ფორმატთან დაკავშირებით.
- ვ) ახდენს სადოქტორო პროგრამის სტუდენტისა და ექსპერტების ინფორმირებას წინადაცვის პროცედურების შესახებ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

**მუხლი 16. დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა**

- 16.1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დოქტორანტის მიერ დაცულ სამეცნიერო ნაშრომს. იგი არის

დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგი, რომელიც ეფუძნება ახალ შექმნილ ცოდნას და ემსახურება შესაბამისი დარგის განვითარებას. თუკი დოქტორანტი კვლევითი ჯგუფის წევრია, მისი წვლილი კვლევაში გამოყოფილი უნდა იყოს დისერტაციაში.

16.2. დისერტაცია იწერება პროგრამის სწავლების ენაზე. დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარადგინოს დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი - ავტორეფერატი (15-20 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე იმ პროგრამებისათვის, სადაც სწავლების ენაა ინგლისური.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23*

16.3. დისერტაციის მოცულობა, ფორმატი და სტილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დისერტაციის გვერდების რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე 110 და არაუმეტეს 1200;

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით - ოქმი #15*

- ფონტის ზომა - 12, სათაურების ზომა - 14;
- ფონტი ინგლისური ტექსტებისათვის - Times New Roman, ქართული ტექსტებისათვის - Sylfaen;
- ხაზებს შორის ინტერვალი - 1,5 სმ.;
- მარცხენა მინდორი - 3 სმ.;
- მარჯვენა მინდორი - 1,5 სმ.;
- ზედა და ქვედა მინდვრები - 2,5 სმ..

დისერტაციის მოცულობა შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ მუხლით დადგენილი მოცულობისგან სპეციალობების მიხედვით. ავტორეფერატის პარამეტრები დისერტაციის პარამეტრების მსგავსია. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს APA სტილში, თუ შესაბამისი სადოქტორო

პროგრამით სხვა მოთხოვნები არ არის განსაზღვრული. დისერტაციის შესრულების მოთხოვნები დეტალურად აღწერილია „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევში“.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

16.4. პლაგიატის შემოწმების მიზნით, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ქმნის ჯგუფს, რომელშიც შედის პროგრამის ხელმძღვანელი, ერთ-ერთი ექსპერტი და სკოლის წარმომადგენელი, რომელიც შესაბამისი პროგრამის დახმარებით, ამოწმებს დოქტორანტის აკადემიურ კეთილსინდისიერებას (R5F19).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

16.5. წინარე დაცვაზე დაშვების მიზნით, დოქტორანტი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განცხადება დისერტაციის დასრულების შესახებ;

ბ) სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კომპონენტების დასრულებისა და შესაბამისი კრედიტის მინიჭების დამადასტურებელი ნიშნების ფურცელი;

გ) შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული პუბლიკაციები;

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასტური დისერტაციასთან პუბლიკაციებისა და ავტორეფერატთან შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე დოქტორანტის მიერ სამუშაოს დასრულებისა და დისერტაციის დასკვნითი შეფასებისათვის წარდგენის შესახებ;

ე) დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსია დისკით;

ვ) დოქტორანტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი ცნობა.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

16.5<sup>1</sup> წინარე დაცვაზე წარდგენის ეტაპზე, დოქტორანტს გაკეთებული უნდა ჰქონდეს სამი პრეზენტაცია, დებულების 10.6 პუნქტის შესაბამისად.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #17*

16.6. წინამდებარე მუხლის 16.5 პუნქტით განსაზღვრული პუბლიკაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს ასლის სახით (ჟურნალის სატიტულო ფურცელი, სარჩევი და სტატია). ამასთან, დასაბეჭდად მიღებული პუბლიკაციები მხედველობაში მიიღება მხოლოდ წინარე დაცვის დროს (პუბლიკაციის ტექსტი და დასაბეჭდად მიღების შესახებ დასტურის წერილი წარმოდგენილ უნდა იქნეს წინარე დაცვისათვის). ნაშრომების გამოქვეყნებამდე გადაწყვეტილება დაცვის დღის დანიშვნის შესახებ არ მიიღება.

16.7. დისერტაციის, ავტორეფერატისა და სხვა დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სულ მცირე ორ ექსპერტს.

16.8. (ამოღებულია).

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

## **მუხლი 17. დისერტაციის ექსპერტები**

17.1. დოქტორანტის მიერ დისერტაციის ჩაბარების შემდეგ, წინარე დაცვამდე, დისერტაციას აფასებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობის მიერ, წინამდებარე დებულების მე-16 მუხლით განსაზღვრული წესით, დანიშნული არანაკლებ ორი ექსპერტი.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #2*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 17.2. ექსპერტები უნდა იყვნენ შესაბამისი/მონათესავე დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი. დოქტორანტის პუბლიკაციის თანაავტორი არ შეიძლება იყოს მისი ექსპერტი.
- 17.3. თუკი დისერტაციის თემა დარგთაშორისია, ერთ-ერთი ექსპერტი შეიძლება დაინიშნოს უნივერსიტეტის სხვა დარგობრივი სადისერტაციო საბჭოდან.
- 17.4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი დისერტაციის ასლს, ავტორეფერატსა და პუბლიკაციებს (ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით, ექსპერტის მოთხოვნით) წარუდგენს ექსპერტს დისერტაციის ჩაბარებიდან ერთი კვირის ვადაში.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*
- 17.5. ექსპერტებმა, სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში, უნდა წარადგინონ დასკვნა მათი ექსპერტად დანიშნვიდან ერთი თვის განმავლობაში. დასკვნაში ყურადღება უნდა მიექცეს დისერტაციის ფორმატსა და სტილს, მათ შესაბამისობას ამ დებულებასთან; დოქტორანტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ექსპერტის რეკომენდაციები და შენიშვნები.  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*
- 17.6. ექსპერტის დასკვნა უნდა მოიცავდეს შეფასებას შემდეგ საკითხებზე:
- ა) სადისერტაციო თემის საჭიროებაზე, სიახლეზე, მის სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე;
  - ბ) სტრუქტურის თაობაზე (მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, მსჯელობისა და კვლევით ნაწილებს, მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და დასკვნას);
  - გ) ექსპერტის რეკომენდაციას (ტექნიკური გაუმჯობესების, მცირე შინაარსობრივი გაუმჯობესების, არსებითი გაუმჯობესების ან მოწონების/უარყოფის შესახებ);

დ) შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე დებულების 20-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

17.7. (ამოღებულია)

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

17.8. (ამოღებულია)

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

### **მუხლი 18. დისერტაციის წინარე დაცვა**

18.1. დისერტაციის წინარე დაცვა ინიშნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ ექსპერტების მიერ შეფასების მიღების შემდეგ.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

18.2. წინარე დაცვას ესწრება დოქტორანტი, მისი ხელმძღვანელი, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ექსპერტები და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

18.3. ერთ სადისერტაციო თემაზე, წინარე დაცვა ტარდება მხოლოდ ერთხელ. სტუდენტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ექსპერტისა და წინარე დაცვაზე დაფიქსირებული რეკომენდაციები (განმავითარებელი შეფასება) დაცვაზე დისერტაციის წარდგენამდე.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

**მუხლი 19. დისერტაციის ოპონენტები**

- 19.1. სტუდენტის მიერ დისერტაციის საბოლოო ვერსიის<sup>2</sup> წარმოდგენის შემდგომ, დისერტაციის დაცვის მომდევნო ეტაპზე გადასვლის თაობაზე დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დისერტაცია ფასდება სულ მცირე ორი ოპონენტის მიერ. ოპონენტებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და მათი სამეცნიერო მოღვაწეობა და პუბლიკაციები უნდა შეესაბამებოდეს დისერტაციის თემას. ოპონენტად შესაძლოა მოწვეულ იქნეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (მათ შორის, უცხო ქვეყნის უსდ) ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი ან/და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი. ოპონენტები ინიშნებიან ექსპერტთა მიერ დისერტაციის დამტკიცებისთანავე.  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*
- 19.2. ოპონენტებმა დასკვნა უნდა წარადგინონ დანიშნვიდან ერთი თვის ვადაში. დასკვნაში ასახული უნდა იყოს შეფასება თემის საჭიროების, სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის თაობაზე. ოპონენტმა უნდა გამოხატოს მოსაზრება დოქტორანტისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე. დასკვნაში გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე დებულების 20-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*
- 19.3. დოქტორანტის პუბლიკაციების თანაავტორი ან იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა კვლევა, არ შეიძლება იყოს მისი ოპონენტი.
- 19.4. პირი, რომელიც თანამდებობრივად დამოკიდებულია დოქტორანტზე, ვერ იქნება მისი ოპონენტი.
- 19.5. ოპონენტები არ შეიძლება მუშაობდნენ ერთსა და იმავე ორგანიზაციაში.

<sup>2</sup> საბოლოო ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დისერტაციისა და ავტორეფერატის აკინძული, შხსუ-ს სტანდარტებით დაბეჭდილი ოთხი ასლი და ელექტრონული ვერსია დისკით.

19.6. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის, რეზიუმესა და პუბლიკაციების ასლების (ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით, ოპონენტის მოთხოვნის შესაბამისად) გადაეცემას ოპონენტებისათვის.

19.7. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ოპონენტების დასკვნის ასლებს აწვდის დოქტორანტს.

19.8. ოპონენტი, რომელმაც გააკეთა უარყოფითი დასკვნა უნდა დაესწროს დაცვას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

19.9. თუკი ოპონენტი, რომლის დასკვნა უარყოფითია, უარს აცხადებს გამოცხადდეს თემის დაცვაზე, მას აუნაზღაურდება 30% და დაინიშნება ახალი ოპონენტი, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროცედურების თანახმად.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

19.10. თუ ყველა დასკვნა დადებითია, სულ მცირე ერთი ოპონენტი მაინც უნდა ესწრებოდეს დაცვას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

## **მუხლი 20. დისერტაციის შეფასება ექსპერტებისა და ოპონენტების მიერ**

20.1. დადებითი შეფასების მიღებისათვის, სადოქტორო დისერტაცია უნდა ხასიათდებოდეს ორიგინალობით და იყოს დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი. იგი უნდა მოიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვას, მიზანშეწონილია საკითხის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პერიოდში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, მსჯელობის ნაწილსა და კვლევას (გამოკითხვა, შემთხვევის ანალიზი, ექსპერტიმენტი და ა.შ. განხორციელებული მკვლევარის ან დოქტორანტის მიერ ან დოქტორანტის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა) შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებით.



ყველა მნიშვნელოვანი ცნების (განსაკუთრებით ახლის) განმარტება უნდა იყოს წარმოდგენილი. დისერტაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს: სიახლე, აქტუალობა, სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული ღირებულება და ა.შ. ჰიპოთეზები, კითხვები და კვლევის დროს წამოჭრილი პრობლემები უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული. რეკომენდაციები და შეთავაზებული დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს დისერტაციაში არსებული ანალიზიდან.

20.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ლოგიკურად, გამართული ენით, პროფესიული ეტიკის ნორმების დაცვით. ციტირების, დამოწმების ტექნიკა და ბეჭდვის ფორმატი დაცული უნდა იყოს.

20.3. პუბლიკაციები უნდა ასახავდეს დისერტაციის ძირითად მასალას.

## მუხლი 21. დაცვის კომისია

21.1. დაცვის კომისიის წევრების კანდიდატებს დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი.

21.2. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს დაცვის კომისიის წევრებს.  
*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

21.3. დაცვის კომისია შედგება სულ მცირე 7 (შვიდი) წევრისაგან. ყველა ექსპერტი და ოპონენტი არის სადისერტაციო კომისიის წევრი. შხსუ-ს აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეადგინოს წევრთა ნახევარზე მეტი.

21.4. დაცვის კომისია მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს უბრალოდ უმრავლესობით, დაცვის პროცესის დაწყებამდე.

21.5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი იმავდროულად არის დაცვის კომისიის მდივანი, ხმის უფლების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი კვალიფიკაცია შეესაბამება დაცვის კომისიას.

- 21.6. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო წყვეტს დაცვის თარიღს და ატყობინებს სტუდენტს აღნიშნულის შესახებ. ინფორმაცია დაცვის შესახებ განთავსებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მას შემდეგ, რაც ოპონენტები წარადგენენ თავიანთ დასკვნას დისერტაციის თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა დაცვამდე.
- 21.7. დოქტორანტის თემის ხელმძღვანელი არ არის დაცვის კომისიის წევრი, მაგრამ იგი ესწრება დაცვას.
- 21.8. თემის დაცვამდე სულ მცირე ათი სამუშაო დღით ადრე დაცვის კომისიის წევრებს მიეწოდებათ განმავითარებელი შეფასება (ექსპერტების რეკომენდაციები და წინარე დაცვაზე მიღებული რეკომენდაციები), დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსია და ოპონენტების დასკვნა.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 21.9. დაცვის კომისია გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისა.

21.10. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპის გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

21.11. სტუდენტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა საშუალება გააუმჯობესოს სადისერტაციო ნაშრომი და წარადგინოს დასკვნითი შეფასებისათვის ერთი წლის განმავლობაში (არანაკლებ ერთი სემესტრის შემდეგ). გაუმჯობესებული ნაშრომი უნდა ეხებოდეს იმავე თემას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

21.12. კომისიის მიერ სტუდენტის 41-ზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

21.13. კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების მიზნებისათვის, ფრიადი ნიშნავს შეფასების 91-100 ქულას, ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულას, კარგი - შეფასების 71-80 ქულას, საშუალო - შეფასების 61-70 ქულას, დამაკმაყოფილებელი - 51-60 ქულას, არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 41-50 ქულას, სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 40 ქულას და ნაკლები.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

## **მუხლი 22. დაცვისთვის მომზადება და დისერტაციის დაცვა**

22.1. დაცვის თარიღი ინიშნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ წინამდებარე დებულების 21-ე მუხლის 21.6 პუნქტით განსაზღვრული წესით.

22.1<sup>1</sup> დისერტაციის შეფასება უნდა მოხდეს მისი დაცვისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის ბოლომდე.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

22.2. საბჭოს მდივანი ვალდებულია დოქტორანტს წერილობით შეატყობინოს მისი დაცვის თარიღი და გადასცეს მას ოპონენტების დასკვნა დაცვამდე სულ მცირე ათი სამუშაო დღით ადრე.

22.3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპის გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

22.4. სტუდენტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა საშუალება გააუმჯობესოს სადისერტაციო ნაშრომი და წარადგინოს დასკვნითი შეფასებისათვის ერთი წლის განმავლობაში (არანაკლებ ერთი სემესტრის შემდეგ). გაუმჯობესებული ნაშრომი უნდა ეხებოდეს იმავე თემას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

22.5. კომისიის მიერ სტუდენტის 41-ზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

22.6. კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების მიზნებისათვის, ფრიადი ნიშნავს შეფასების 91-100 ქულას, ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულას, კარგი - შეფასების 71-80 ქულას, საშუალო - შეფასების 61-70 ქულას, დამაკმაყოფილებელი - 51-60 ქულას, არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 41-50 ქულას, სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შეფასების 40 ქულას და ნაკლები.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

22.7. დოქტორანტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტს აქვს უფლება გაეცნოს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას.

22.8. თემის დაცვა საჯაროა და იმართება პროგრამის სწავლების ენაზე. დაცვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაცვამდე სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

22.9. დაცვის პროცედურა მოიცავს:

ა) დოქტორანტის პრეზენტაციას (არაუმეტეს 30 წუთი);

ბ) განმავითარებელი შეფასების ეტაპზე მიღებული შეფასებებისა და ოპონენტების დასკვნის საჯარო გაცნობას;

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

გ) დოქტორანტის პასუხებს დასკვნაში მითითებულ კითხვებზე;

დ) სამეცნიერო დისკუსიას;

ე) ხელმძღვანელის სიტყვას;

ვ) დამსწრეთა მოსაზრებებს;

ზ) დისერტაციის შეფასების დახურულ სესიას;

თ) დისერტაციის შეფასების შედეგების საჯარო გამოცხადებას;

ი) დოქტორანტის შემაჯამებელ სიტყვას.

22.10. თითო სესია მოიცავს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვას.

- 22.11. თუკი დაცვა ვერ ჩატარდება დაგეგმილ დროს საპატიო მიზეზის გამო, სტუდენტის და/ან დაცვის კომისიის წევრების მოთხოვნით, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება გადაიდოს არანაკლებ ორი კვირით, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვის ვადით. აღნიშნულის შესახებ შესაბამისი განცხადება გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

### მუხლი 23. დისერტაციის შეფასება

- 23.1. დისერტაციის შეფასება ხდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.
- 23.2. დაცვა ფასდება კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე. დისერტაციისა და მისი შეფასებების (მათ შორის განმავითარებელი შეფასების ეტაპზე მიღებული შეფასების) საფუძველზე კომისია გადაწყვეტს საბოლოო შეფასებას.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 23.3. შეფასება ორი სახისაა: დაიცვა ან ვერ დაიცვა.
- 23.4. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:
- ა) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას:
- ფრიადი** (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი** (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი** (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო** (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

**დამაკმაყოფილებელი (rite)** - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს -

მას მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

**ბ) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას- არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მასში წაყენებულ მოთხოვნებს - მას აქვს უფლება გააუმჯობესოს და წარადგინოს ნაშრომი ხელახალ დაცვაზე ერთი წლის განმავლობაში.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

**გ) თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone),** შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მას არ აქვს ამავე დისერტაციის ხელახალი დაცვის უფლება.

23.5. შედეგებს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

#### **მუხლი 24. აკადემიური ხარისხის მინიჭება**

24.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორციელებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

24.2. დაცვის შემდეგ დისერტაციის ავტორეფერატი იტვირთება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დისერტაციის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია ავტორეფერატის დროულად გამოქვეყნებაზე, დაცვიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

- 24.3. დისერტაციის ორი ასლი და ავტორეფერატი უბრუნდება სტუდენტს, ორი ასლი რჩება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ელექტრონული ვერსია ინახება უნივერსიტეტის არქივში.

**მუხლი 25. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი**

- 25.1. რექტორის მიერ დოქტორანტის კურსდამთავრებულად ცნობის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, დიპლომის დაბეჭდვამდე, დოქტორანტის მოთხოვნის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ გაიცემა ცნობა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით-ოქმი #30*

**მუხლი 26. ნაშრომის გაუქმება**

- 26.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შეიძლება არ გაიცეს ან გაუქმდეს უკვე გაცემული დიპლომი, თუკი დადგინდება გაყალბებული კვლევის მონაცემების წარდგენის ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტი (პლაგიატი). აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

**მუხლი 27. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

- 27.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები განსაზღვრულია „სწავლის საფასურის გადახდის წესით“ (R9).
- 27.2. საკითხები, რომლებიც არ არის აღნიშნული წინამდებარე დებულებაში, წესრიგდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ (R3) და უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.
- 27.3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.



27.4. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდგომ და მოქმედებს 2016 - 2017 აკადემიური წლიდან.

27.4.<sup>1</sup> დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შესული ცვლილება გავრცელდეს იმ სტუდენტებზე, რომლებსაც ცვლილების ამოქმედების თარიღისათვის, ვალდებულები არიან წარადგინონ დისერტაცია დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე წინარე დაცვისათვის.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

27.4.<sup>2</sup> წინამდებარე დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლის 27.2 პუნქტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტმა უზ)რუნველყოს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამებში ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება უნივერსიტეტის უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი №9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

27.4.<sup>3</sup> დოქტორანტები, რომლებსაც 10.6 პუნქტის შესაბამისად არ წარუდგენიათ პრეზენტაცია (ან წარდგენილი აქვთ არასრული სახით) და 2020-2021 შემოდგომის სემესტრის მდგომარეობით აქვთ აქტიური სტატუსი ან მომდევნო სემესტრებში აღიდგენენ სტატუსს, ვალდებულები არიან წარადგინონ პრეზენტაცია 10.6 პუნქტით განსაზღვრული წესით. ამასთან, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ დგინდება დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და განისაზღვრება მისი შესაბამისობა პრეზენტაციის ჯამურ ოდენობასთან მიმართებით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #17*

27.5. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #16*

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

